

თბილისი

№ 705/03

28 ოქტომბერი 2014წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/ სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 ოქტომბრის №1175 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. პრაისი პაულ – ინდოეთის რესპუბლიკა;
2. ჩათური ნადიშანი დე სილვა – შრი ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2014 წლის 30 ნოემბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ.ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ.თოფურიას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ.თოფურიას, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ.ჩიქოვანს; საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

ვიზა:

ვიცე-რექტორი
რ.ბერიაშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი

მ. დუნდუა

მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

თ.ჩიქოვანი

საერთაშორისო ურთიერთობათა

დეპარტამენტის უფროსი

ი. ავალიანი

მომამზადა: ნ.ჯაფარიძემ

